შზსუ-ს აკადემიური პერსონალის წლიური აკადემიური საქმიანობის ანგარიშების შეფასება

2021-2022 აკადემიური წელი

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა დაამუშავა შზსუ-ს აკადემიური პერსონალის მიერ წარმოდგენილი 2021-2022 აკადემიური წლის აკადემიური საქმიანობის ანგარიშები.

აკადემიური პერსონალის მიერ წარმოდგენილი აკადემიური საქმიანობის ანგარიშები გადაიხედა და ყურადღება დაეთმო თუ რამდენმა აკადემიურმა პერსონალმა მოაგროვა აკადემიური თანამდებობისთვის განსაზღვრული მინიმალური ქულების 50% სამეცნიერო აქტივობების ხარჯზე.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის **94** აკადემიური პერსონალიდან სულ **52**-მა (55.31%) წარადგინა აკადემიური საქმიანობის ანგარიშები, კერძოდ: ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტზე - **22**, სოციალურ, ჰუმანიტარულ და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე - **24**, ხოლო სამართლის ფაკულტეტზე - **6** ანგარიში.

ცხრილი 1. *წარმოდგენილი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის ანგარიშები ფაკულტეტების მიხედვით.*



ქვემოთ მოცემული ინფორმაცია ეხება აკადემიური პერსონალის წლიურ აკადემიურ საქმიანობას ფაკულტეტების მიხედვით.

ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი

ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტზე 34 აკადემიური პერსონალიდან წლიური აკადემიური საქმიანობის ანგარიშები წარადგინა 22-მა აკადემიურმა პერსონალმა. ამათგან მხოლოდ 1-მა ვერ მოაგროვა აკადემიური პოზიციისთვის განსაზღვრული სამეცნიერო ქულა.

ცხრილი 2. *აკადემიური თანამდებობისთვის განსაზღვრული მინიმალური ქულების ზღვარის მოგროვება სამეცნიერო აქტივობების ხარჯზე*



დეტალურად იხილეთ დანართი 1.

სოციალურ, ჰუმანიტარულ და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

სოციალურ, ჰუმანიტარულ და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე 42 აკადემიური პერსონალიდან აკადემიური საქმიანობის ანგარიშები წარადგინა 24-მა, აქედან აკადემიური პოზიციისთვის განსაზღვრული სამეცნიერო მოღვაწეობის ქულა ვერ მოაგროვა 1-მა.

ცხრილი 3. *აკადემიური თანამდებობისთვის განსაზღვრული მინიმალური ქულების ზღვარის მოგროვება სამეცნიერო აქტივობების ხარჯზე*



დეტალურად იხილეთ დანართი 2.

სამართლის ფაკულტეტი

სამართლის ფაკულტეტზე 18 აკადემიური პერსონალიდან აკადემიური საქმიანობის ანგარიშები წარადგინა 6-მა, ხოლო მათგან აკადემიური პოზიციისთვის განსაზღვრული სამეცნიერო მოღვაწეობის ქულა ვერ დააგროვა 3-მა.

ცხრილი 2. *აკადემიური თანამდებობისთვის განსაზღვრული მინიმალური ქულების ზღვარის მოგროვება სამეცნიერო აქტივობების ხარჯზე*



დეტალურად იხილეთ დანართი 3.

დასკვნა

2021-2022 აკადემიურ წელს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის 94 აკადემიური პერსონალიდან 52-მა (55.31%) წარადგინა აკადემიური საქმიანობის ანგარიშები. აქცენტი გაკეთდა თუ რამდენმა აკადემიურმა პერსონალმა დააკმაყოფილა აკადემიური პოზიციისთვის განკუთვნილი სამეცნიერო მოღვაწეობის მინიმალური ან მეტი ქულა.

წარმოდგენილი აკადემიური საქმიანობის ანგარიშებიდან სულ 5-მა აკადემიურმა პერსონალმა ვერ მოაგროვა შზსუ-ს მიერ დადგენილი აკადემიური პოზიციის მინიმალური ზღვარი (იხ. IBSU_R36I01F01.EG აკადემიური საქმიანობის ანგარიში, ხოლო დეტალები იხილეთ დანართში).

რეკომენდაციაა ადამიანური რესურსების სამსახურთან ერთად დაიგეგმოს შესაბამისი ღონისძიებები, რათა მოხდეს აღნიშნული აკადემიური პერსონალის გააქტიურება სამეცნიერო მუშაობის კუთხით უნივერსიტეტში არსებული დებულებების მიხედვით.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
20.07.2022